ორიათას თორმეტი წლის ოცდაათ ნოემბერს მე, ნოტარიუსს მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №55, მომმართა მოქალაქე გრეტა ხარჩილავამ, შემდგომში „მარწმუნებლად“ წოდებულმა, განცხადა, რომ არის შპს „სტომატოლოგი 55“-ის დირექტორი და მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე, დავადგინე მარწმუნებლის უფლებამოსილება /თანახმად ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 386915, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11157773, ამონაწერის მომზადების თარიღი 02.11.2011 11:10:18, შპს-ს იურიდიული მისამართია: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №55/1. ს.კ. 404408823, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 28.09.2011/, პირადობა, ნების გამოხატვის ნამდვილობა, ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია და ვინაიდან ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა დავამოწმე სანოტარო აქტი. მას ასევე განვუმარტე, რომ: ამ აქტით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება ვადის გასვლით, უფლებამოსილი პირის უარით, უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, უფლებამოსილების გაუქმებით გამცემი პირის მიერ, უფლებამოსილების შესრულებით. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ოცდაათ ნოემბერს მე, ქვემორე ხელისმომწერი გრეტა ხარჩილავა, დაბადებული 07.11.1977 წელს წალენჯიხაში, რეგისტრირებული თბილისი, ნ. ყიფშიძის ქ. №8, ბ. 30-ში, რომლის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი მოქალაქის პირადობის მოწმობით 12IC08288, პირადი №51001000347, გაცემული 29.11.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, როგორც შპს „სტომატოლოგი 55“-ის დირექტორი, შემდგომში “მარწმუნებლად” წოდებული, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ მოქალაქე **დიმიტრი ტორაძეს**, დაბადებულს 26.09.1973 წელს ქუთაისში, მცხოვრებს: ქუთაისი, პ. ინგოროყვას ქ. №49-ში, /მისი პირადი №60001000618/, შემდგომში “რწმუნებულად” წოდებულს, იყოს ჩემი, როგორც შპს „სტომატოლოგი 55“-ის დირექტორის წარმომადგენელი ყველა დაწესებულება ორგანიზაციაში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, საქართველოს იუსტიციის სამინიტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, უზრუნველყოს სახელწიფო მოსაკრებლების, გადასახადების გადახდა, შეუზღუდავად აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ბანკში (მათ შორის ს.ს.-ში „პროკრედიტ ბანკი“) ან მათ ყველა სერვის ცენტრში, დაარეგისტრიროს და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგით, განახორციელოს საბანკო ოპერაციები /შეტანა, გატანა, გადარიცხვები, განაღდება, კონვერტაცია და სხვ/ უცხოურ ვალუტაში ან ეროვნულ ლარში, დადოს გარიგებები (მათ შორის ქირავნობის ხელშეკრულება), მიიღოს ამონაწერები შესრულებულ საბანკო ოპერაციებზე, აწარმოოს ელექტრონული დეკლარირება, სალარო აპარატის რეგისტრაცია/ან რეგისტრაციიდან მოხსნა, გამოწეროს ანგარიშფაქტურები, სასაქონლო ზედნადებები, წარადგინოს ყველა სახის განცხადება, მოაწეროს ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება შპს-ს საქმიანობის მართვასთან, შეუზღუდავად იმოქმედოს იმ უფლებებით, რაც მონიჭებული მაქვს მე, როგორც შპს-ს დირექტორს.
რწმუნებულის მიერ შესრულებული მოქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები ამ მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ჩემს მიერ იქნება მოწონებული და უდაო.
რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა შპს-ს საქმიანობის წარმოებისათვის.
მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით და ძალაშია ორიათას ჩვიდმეტი წლის ოცდაათი ნოემბრის ჩათვლით.
ეს მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს ხელზე.
გადახდილია სახელმწიფო თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507, 29.12.2011წ. “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” მუხ. 31, პ. 7-ით 10 ლარი, მუხ. 39, პ. 1-ით – 2 ლარი, სულ 12 ლარი.

რწმუნებულებას დანართად ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 386915, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11157773, ამონაწერის მომზადების თარიღი 02.11.2011 11:10:18, /ელექტრონული ასლი/, და შპს-ს წესდება (ასლი).

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81639157275712

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი


N121282699

რეგისტრაციის თარიღი

30.11.2012 წ

ნოტარიუსი: მაია წიკლაური
მისამართი: ქ. თბილისი წერეთლის 55
ტელეფონი: 2 35-21-19

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


აკინძულია 2 ფურცელი
ПЕРЕПЛЕТ ЛИСТОВ
BOUND SHEET